

გრიგოლ როაქიძის სახელობის უნივერსიტეტის ხელშეწყობით მონაწილეობა მივიღე AIESEC-ის გაცვლით პროგრამაში, explore China და უნივერსიტეტის თანადაფინანსებით გავემგზავრე ჩინეთის დედაქალაქ პეკინში, სადაც მივიღე გამოცდილება, რომელიც მომავალში ჩემს პროფესიულ განათლებაში დიდ როლს ითამაშებს და ამასთანავე ჩემ მოგონებებში დარჩება წარუშლელ, დაუვიწყარ დღეებად.

პეკინში 2 თვის განმავლობაში ჩემს ცოდნასა თუ შეხედულებებს ვუზიარებდი სხვადასხვა კულტურისა და ტრადიციების მქონე სტუდენტებს მთელი მსოფლიოდან, ვაცნობდი ქართული ცხოვრების წესებსა და ისტორიას, ასევე ვასწავლიდი ინგლისურს დაწყებით და საშუალო სკოლებში და ვეცნობოდი ჩინურ ენასა და კულტურას.

გრიგოლ როაქიძის უნივერსიტეტმა მომცა შესაძლებლობა მიმეღო შეუფასებელი გამოცდილება მეცხოვრა საქართველოს საზღვრებს გარეთ და ამავდროულად ხელი შემიწყო პროფესიულ თუ პიროვნულ ზრდაში. საზღვარგარეთ ყოფნის დროს განვაავითარე ლიდერული თუ კონმუნიკაციური თვისებები. იმედია მომავალშიც მექნება შესაძლებლობა მივიღო მონაწილეობა ჩემი უნივერსიტეტის მრავალფეროვან გაცვლით პროგრამებში.`

მარიეტა კუპრავა